საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში და რეკომენდაციები

2023-2024 წწ.

თბილისი

2024 წელი, სექტემბერი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ და მოიცავს 2023-2024 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შეჯამებას და შემუშავებულ რეკომენდაციებს, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

დოკუმენტში გაცემული რეკომენდაციები შემუშავებულია, წლის განმავლობაში, ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის/კვლევების შედეგებზე დაყრდნობით:

- ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა;
- აკადემიური პერსონალის კვლევა;
- პროფესიული სტუდენტების კვლევა;
- ანონიმური ყუთის გახსნის შედეგების ანალიზი;
- სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასების შედეგები;
- ვებ გვერდის მონიტორინგის შედეგები;
- ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მონიტორინგის შედეგები;
- დოკუმენტების მონიტორინგის შედეგები;
- სასწავლო პროცესზე დასწრების შედეგები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები.

დოკუმენტის სტრუქტურა:

- წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების მიმოხილვა-შეჯამება, კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებთან მიმართებაში;
- წინა წლის რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა;
- ხარისხის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შეჯამება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების დეტალური ანგარიში.

წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების მიმოხილვა-შეჯამება კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებთან მიმართებაში

- 2023 წლის განმავლობაში დაწესებულებაში განხორციელდა შიდა მონიტორინგი, ხარისხის სამსახურის მიერ, თვიშეფასების სახით. მონიტორინგის ფარგლებში, დაწესებულება შეფასდა ხუთივე სტანდარტის მიხედვით. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია მონიტორინგის და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციების შედეგად გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები.
- 2023 წლის სექტემბრიდან პირველად დაიწყო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება:
    - ფრონტენდ დეველოპმენტი (მომზადება);
    - ფრონტენდ დეველოპმენტი (გადამზადება);
    - ბექენდ დეველოპმენტი (მომზადება);
    - კიბერუსაფრთხოება

- 2024 წლის ივნისში, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელობით, ჩატარდა ვერიფიკაცია, რომლის ფარგლებში ჯამში შემოწმდა 5 შეფასების ინსტრუმენტი და 103 მტკიცებულება. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შემუშავდა რეკომენდაციები და გაზიარდა დაინტერესებულ პირებთან. ვერიფიკაცია ჩატარდა ოთხი პროფესიული პროგრამის ფარგლებში:
    - ვებტექნოლოგიები;
    - კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
    - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება;
    - პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი.
- განხორციელდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ლექციებზე და შეფასებებზე დასწრების გზით. ჯამში განხორციელდა 4 ლექციის და 3 შეფასების მონიტორინგი.
- ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ჩატარდა კვლევები შემდეგი მიმართულებით:
    - ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა;
    - აკადემიური პერსონალის კვლევა;
    - სტუდენტების კვლევა;
    - პარტნიორების კვლევა;
    - კურსდამთავრებულების კვლევა.
- სწავლებისა და შეფასების მიმართულებთ, მასწავლებლების კომპეტენციების ამაღლების მიზნით, ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგი ახალი მასწავლებლებისთვის პროფესიული განათლების სპეციფიკაზე და შეფასების სისტემაზე პროფესიულ განათლებაში
- განხორციელდა პროგრამების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წარდგენილი ანგარიშებისა და თვითშეფასებით გათვალისწინებული პროგრამების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. შედეგად, პროგრამების განვითარების მიზნით, გარე ინიცირების წერილი გაიგზავნა პროფესიული უნარების სააგენტოში. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განვითარების ფარგლებში ჩართულები იყვნენ კოლეჯის პროგრამის ხელმძღვანელები. გაანალიზდა 2024 წლის მიღების მონაცემები, რის შედეგადაც, აპლიკანტებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელების მონაწილეობით გაკეთდა ვიდეო რგოლები (პროგრამის შინაარსი, მიზნები, დასაქმების შესაძლებლობები და ა.შ), რომლებიც განთავსდა სოციალურ ქსელში.
- განხორციელდა ელექტრონული მართვის სისტემაში დაწესებულების მიერ ატვირთული ინფორმაციის სისწორის მონიტორინგი, რის შედეგადაც გასწორდა ტექნიკური ხარვეზები, შეივსო გამოტოვებული ინფორმაცია პერსონალის განათლებასა და სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით.

წინა წლის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება

- შრომის ბაზრის შესაბამისი პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად და სტუდენტებისთვის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარების განსავითარებლად, კოლეჯში დაინერგა დარგობრივი მასტერკლასების განხორციელების პრაქტიკა. მასტერკლასები ჩატარდა პროფესიული მასწავლებლების მიერ.
- განხორციელდა სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და გაუმჯობესება გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ კეთდება პროგრამების შეფასება, რის შედეგადაც წარადგენენ ანგარიშებს. ასევე, ივსება პროგრამების შეფასები ფორმა.
- სტუდენტებში თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარების გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა სასწავლო რიდერები უცხოენოვანი ლიტერატურისთვის, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში დამხმარე რესურსად.
- სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის მოთხოვნა-მიწოდების პროცესის ამსახველი დოკუმენტების წარმოება ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
- პროფესიული სტუდენტებისთვის, კომფორტული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, გაუმჯობესდა შიდა მოსასვენებელი სივრცე (განთავსდა პუფები).
- სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა სტუდენტის გზამკვლევი და განთავსდა დაწესებულების ვებ გვერდზე.
- ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით, განხორციელდა, პერსონალის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები (ტრენინგები, პროფესიული მივლინებები).
- სტუდენტების მიერ განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების შეფასება.
- ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფნის მიზნით, გადაიხედა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების განმსაზღვრელი დოკუმენტი.
- ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შემუშავდა პერსონალის განვითარების გეგმა.
- IT ინფრასტრუქტურის მუდმივად გამართულობის მიზნით, ხორციელდება, IT ინფრასტრუქტურის პერიოდული მონიტორინგი.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, ვებ გვერდზე ინტეგრირდა ხშირად დასმული შეკითხვების რუბრიკა.

ხარისხის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები, წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე

- **სასწავლო პროცესის მიმართულებით:**

  - სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, **რეკომენდებულია,** კოლეჯში არსებული ბიბლიოთეკის კატალოგი ინტეგრირდეს კოლეჯის ვებ გვერდზე.
  - **რეკომენდებულია,** სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდეს სტუდენტების ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელიც მოიცავს სტუდენტების აკადემიურ მიღწევებს.
  - **რეკომენდებულია,** ფრონტენდ-დეველოპმენტის პროფესიული მომზადების პროგრამაზე, განმახორციელებელს ჩაუტარდეს კონსულტაციები სალექციო მასალის ეფექტურად მიწოდების საკითხთან დაკავშირებით;
  - **რეკომენდებულია,** კომპიუტერული ქსელი და სისტემების ფარგლებში, რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო წესი. სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ სასურველია თანამედროვე სასწავლო რესურსით განხორციელდეს სწავლება.
  - **რეკომენდებულია,** სასწავლო პროცესის პროდუქტიულად წარმართვისა, და მსმენელების/სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, განხილულ იქნას მაგიდების განლაგების საკითხი აუდიტორიებში და საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს განლაგება, იმგვარად აღინიშნა, რომ მსმენელებმა/სტუდენტებმა, გასწორებულ მდგომარეობაში შეძლონ პრეზენტაციების დანახვა პროექტორით.

- **პროფესიული სტუდენტების არაფორმალური მხარდაჭერისა და სერვისების მიმართულებით:**

  - ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებულმა სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ საჭიროა მეტი არაფორმალური აქტივობების განხორციელება დაწესებულების მხრიდან, როგორიცაა ინტელექტუალური/შემოქმედებითი/სპორტული აქტივობები. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** გაუმჯობესების მიზნით, არაფორმალური/ექსტრაკურიკულური აქტივობების მეტად წახალისება.
  - ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებულმა სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ სტუდენტებს სურვლი აქვთ სტაჟირება გაიარონ პარტნიორ კომპანიებში. შესაბამისად, შესაძლებლობების ფარგლებში, **რეკომენდებულია,** პარტნიორ კომპანიებთან მოლაპარაკება აღნიშნულ საკითხზე.
  - ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებულმა სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ სტუდენტებს სურვილი აქვთ, ჩატარდეს პროფესიული კონკურსები კოლეჯში, როგორიცაა მაგალითად ჰაკათონი. შესაბამისად, რეკომენდებულია, გადაიხედოს აღნიშნული საკითხი.

- **დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და რესურსების განვითარების მიმართულებით:**

- ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებულმა სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისთვის **რეკომენდებულია,** გაგრილების სისტემის დაყენება სასწავლო აუდიტორიებში
- **რეკომენდებულია,** ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, პერიოდულად განხორციელდეს ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემის (TVET) მონიტორინგი.
- **რეკომენდებულია,** განხორციელდეს აკადემიური ოქმების, ბრძანებების, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის პირადი საქმეების მონიტორინგი
- **რეკომენდებულია,** დასალევი წყლით უზრუნველყოფისა (დისპენსერში) და ჭიქებით მომარაგების პრობლემის აღმოფხვრა;
- **რეკომენდებულია,** გადაიხედოს და შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნას სველი წერტილების თბილი წყლით უზრუნველყოფა.

- **უსაფრთხოების მიმართულებით:**

- **რეკომენდებულია,** პერსონალისა, მათ შორის აკადემიური პერსონალის და პროფესიული სტუდენტების დატრენინგება/ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.
- **რეკომენდებულია,** პერსონალის, მათ შორის აკადემიური პერსონალის და პროფესიული სტუდენტების დატრენინგება/ინსტრუქტაჟი პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებთან დაკავშირებით.

- **ვებგვერდის განვითარების მიმართულებით გაცემული რეკომენდაციები ასახულია ხარისხის მენეჯერი ანგარიშში: "რეკომენდაციები ვებგვერდის განვითარებისთვის"**

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში
შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ამოცანები და განსახორციელებელი აქტივობები		პერიოდი/კვარტალი				პასუხისმგებელი პირი	ჩართული მხარეები	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
		4	1	2	3				
სასწავლო პროცესისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და განმახორციელებლების შეფასება									
შეფასების სისტემის ვერიფიკაცია	ვერიფიკაციის განხორციელება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	პროფესიული მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი	ვერიფიკაციის შედეგები	შესრულდა
	ვერიფიკაციის დასკვნის შედგენა და რეკომენდაციების შემუშავება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		ვერიფიკაციის დასკვნა და შემუშავებული რეკომენდაციები	
სასწავლო პროცესის მონიტორინგი	ლექციებზე დასწრება შეფასებებზე დასწრება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	სასწავლო პროცესისი მენეჯერი, პროფესიული მასწავლებლები	დასწრების ანგარიში	შესრულდა
პროგრამების შეფასება სტუდენტების მიერ, გამოკითხვის მეშვეობით	პროგრამების მოდულებისა და განმახორციელებლების შეფასება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი პროფორიენტაციასა და კარიერის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	კვლევის შედეგები	შესრულდა
	სასწავლო პროცესის შეფასება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი			
	სასწავლო გარემოების შეფასება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი			
	მოდულებში გამოყენებული სასწავლო რესურსის შეფასება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი			
	მოდულებში გამოყენებული მასალა-ნედლეულის შეფასება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი			

	შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		კვლევის ანგარიში და შემუშავებული რეკომენდაციები	
დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი ავტორიზაციის პირველი სტანდარტის შესაბამისად	მონიტორინგისთვის საჭირო დოკუმენტებისა და მტკიცებულებების გამოთხოვა შესაბამისი სამსახურებისგან					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		მონიტორინგის ანგარიში (თვითშეფასების)	
	მონიტორინგის ანგარიში დაწერა და რეკომენდაციების შემუშავება (საჭიროების შემთხ ვევაში გაუმჯობესების გეგმის შედგენა)								შესრულდა
სასწავლო პროცესისა და პროგრამების შეფასების ფარგლებში (მათ შორის ვერიფიკაციის) გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (ასახული იქნება ხარისხის მენეჯერის წლიურ ანგარიშში)						ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		მონიტორინგის ანგარიში	შესრულდა
კოლეჯის მატერიალური რესურსის, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის შეფასება									
კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსის შეფასება	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, ინფრასტრუქტურის, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შეფასება სტუდენტების მიერ, გამოკითხვის მეშვეობით					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი პროფორიენტაციასა და კარიერის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	გამოკითხვის შედეგები	შესრულდა
	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, ინფრასტრუქტურის, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შეფასება მასწავლებლების მიერ,გამოკითხვის მეშვეობით					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი			
	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, ინფრასტრუქტურის, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შეფასება ადმინისტრაციული პერსონალის მიერ,გამოკითხვის მეშვეობით					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი			

	აიტი ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საინფორმაციო რესურსების შეფასების ანგარიშის გამოთხოვა და ანალიზი					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	აიტი მენეჯერი	ანგარიშის თანახმად შემუშავებული რეკომენდაციები	შესრულდა
კოლეჯის ვებ.გვერდისა და სოციალური ქსელის მონიტორინგი	სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსების შემოწმების მიზით, და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების შემუშავება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		კოლეჯის ვებ.გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებული ყველა საჭირო ინფორმაცია	შესრულდა
რესურსების შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (ასახული იქნება ხარისხის მენეჯერის წლიურ ანგარიშში)						ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		მონიტორინგის ანგარიში	შესრულდა
დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი ავტორიზაციის მესამე სტანდარტის შესაბამისად	მონიტორინგისთვის საჭირო დოკუმენტებისა და მტკიცებულებების გამოთხოვა შესაბამისი სამსახურებისგან					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		მონიტორინგის ანგარიში (თვითშეფასება)	შესრულდა
	მონიტორინგის ანგარიში დაწერა და რეკომენდაციების შემუშავება (საჭიროების შემთხ ვევაში გაუმჯობესების გეგმის შედგენა)								შესრულდა
პერსონალის განვითარება და სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების შეფასება									
სტუდენტური სერვისების შეფასება	ექსტრაკურიკულური აქტივობების შეფასება, სტუდენტების გამოკითხვის მეშვეობით					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი პროფორიენტაციასა და კარიერის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	გამოკითხვის შედეგები	შესრულდა
	ანონიმური ყუთის გახსნა და რეკომენდაციების შემუშავება მიღებული შედეგების გათვალისწინებით								

	ადმინისტრაციისგან გაწეული სერვისის შეფასება სტუდენტების გამოკითხვის ანგარიშის მიხედვით					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი			
	პროფორიენტაციული და კარიერული სერვისის შეფასება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	პროფორიენტაციასა და კარიერის მართვაზე პასუხისმგებელი პირი		
პერსონალის (მათ შორის პროფესიული მასწავლებლების) განვითარება	შიდა ტრენინგების ჩატარება ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და პროგრამის ხელმძღვანელებისთვის პროფესიული განათლების სპეციფიკაზე და შეფასების სისტემაზე პროფესიულ განათლებაში					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	ჩატარებული ტრენინგები (ტრენინგის თემატიკა, პრეზენტაცია, დასწრების ფურცელი)	შესრულდა
	ტრენინგი შეფასების ინსტრუმენტის ფორმების/შეფასების მეთოდების/კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების შესახებ					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი		შესრულდა
რესურსების შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (ასახული იქნება ხარისხის მენეჯერის წლიურ ანგარიშში)						ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი		მონიტორინგის ანგარიში	შესრულდა
პარტნიორებისა და კურსდამთავრებულების კვლევა	კოლეჯის კურსდამთავრებულების კვლევის ჩატარება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	პროფორიენტაციასა და კარიერის მართვაზე პასუხისმგებელი პირი	კვლევის ანგარიში და შემუშავებული რეკომენდაციები	შესრულდა
	პარტნიორების კვლევის ჩატარება					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი	კვლევის ანგარიში და შემუშავებული რეკომენდაციები	შესრულდა

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი ავტორიზაციის მესამე სტანდარტის შესაბამისად	მონიტორინგისთვის საჭირო დოკუმენტებისა და მტკიცებულებების გამოთხოვა შესაბამისი სამსახურებისგან					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	მონიტორინგის ანგარიში, გაუმჯობესების გეგმა, გეგმის შესრულების ანგარიში	შესრულდა
	მონიტორინგის ანგარიში დაწერა და რეკომენდაციების შემუშავება (საჭიროების შემთხ ვევაში გაუმჯობესების გეგმის შედგენა)							შესრულდა
დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის შესაბამისად	მონიტორინგისთვის საჭირო დოკუმენტებისა და მტკიცებულებების გამოთხოვა შესაბამისი სამსახურებისგან					ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	მონიტორინგის ანგარიში (თვითშეფასება)	შესრულდა
	მონიტორინგის ანგარიში დაწერა და რეკომენდაციების შემუშავება (საჭიროების შემთხ ვევაში გაუმჯობესების გეგმის შედგენა)							შესრულდა